ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6638611

ნომერი: AR1983728

თარიღი : 11.08.2023

გაცემის თარიღი : 30.08.2023

გაცნობის თარიღი : 30.08.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა, N 80;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჯონი საჯაია პ/ნ 29001010539
- ჯავახეთის ქ. 9კ. ბინა1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 03 ივლისის №6509706 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 11 აგვისტოს №AR1983728 განცხადებით მომართა ჯონი საჯაიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 03 ივლისის

№6509706 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 03 ივლისის №6509706 ბრძანებით №01.19.21.002.351 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა საწყობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 03 ივლისიდან 2024 წლის 03 ივლისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 03 ივლისის №6509706 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან ვერ ხერხდება მშენებლობის განხორციელება. ასევე, განმცხადებლის მიერ წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია ტერიტორიის, დღევანდელი მდგომარეობით არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, რომლითაც დასტურდება, რომ სამსახურის 2023 წლის 03 ივლისის №6509706 ბრძანების საფუძველზე სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოები არ არის.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №882023487396, მომზადების თარიღი: 29/05/2023 წ.) თანახმად, №01.19.21.002.351 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეებს წარმოადგენენ შპს „ოპოკო“ (ს/ნ: 406127392) და უშანგი იმხანიშვილი (პ/ნ: 01024060458.) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22165026; მომზადების თარიღი: 27/12/2022 წ.) შპს „ოპოკო“-ს (ს/ნ: 406127392) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს გიორგი გვარამაძე (პ/ნ: 01026012843).
წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია შპს „ოპოკო“-ს (ს/ნ: 406127392) დირექტორის გიორგი გვარამაძის და უშანგი იმხანიშვილის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობები (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 230434702, რეგისტრაციის თარიღი: 05.04.2023 წ. და სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 230434750, რეგისტრაციის თარიღი: 05.04.2023 წ.). შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
ამასთან, განგიმარტავთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილების მიხედვით, ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. ამასთან, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული ბრძანებების ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები არ უქმდება (მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, მშენებლობის ეტაპების დარღვევის შემთხვევაში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგი და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება).
"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.
ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,
ვბრძანებ:
1.დაკმაყოფილდეს ჯონი საჯაიას 2023 წლის 11 აგვისტოს №AR1983728 განცხადება.
2.ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 03 ივლისის №6509706 ბრძანება.
3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.